პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 29 (9497) | ოთხშაბათი, 4 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გადაჭრით გავაუმჯობესოთ სკოლების მუშაობა — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე (მე-2 გვერდი).

ე. ბურჭულაძე — კადრების თეორიული განათლების მძლავრი იდეური წყარო (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

ხალხის რჩეულნი — მაღალნაყოფიერი ბოლოვინელი ტრაქტორისტი (მე-3 გვერდი).

წარჩინებული ტრაქტორისტი (მე-3 გვერდი).

შ. აფხაიძე — ღირსშესანიშნავი სპეციალისტი (მე-3 გვერდი).

«რადიანსკე მისტეცტვო» საბჭოთა საქართველოს ხელოვნების შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

გადაჭრით გავაუმჯობესოთ სკოლების მუშაობა

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით არის გარემოსილი საბჭოთა სკოლა. სახალხო განათლებაზე ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად მილიონობით მანეთი იხარჯება. ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის კომუნისტური სულიკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან საუკეთესო შენობებით, სათელმზიანი საკლასო ოთახებითა და საბინეტ-ლაბორატორიებით, ძლიერი პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფილი ჩვენი სკოლები.

საბჭოთა სკოლისათვის, ნორჩი თაობის აღზრდისათვის, სახალხო განათლებისათვის ჩვენი მშობლიური პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ მზრუნველობაზე მეტყველებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX კონფერენციის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ დირექტივებში თვალსაჩინო ადგილი უკავია საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემდგომი გაფართოების ღონისძიებებს. დირექტივების მიხედვით მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის გადავალისწინებულია საყოველთაო შვიდწლიანი სავალდებულო სწავლებიდან საყოველთაო საშუალო (ათწლედი) განათლებაზე გადასვლის დამთავრება ქალაქებში, რესპუბლიკის დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფარგლების შემდგომი გადიდება უდიდესი სახალხო მნიშვნელობის საქმეა და იგი ემსახურება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს.

ამხანაგი სტალინი თავის გენიალურ ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უაღრესად პასუხსაგები ამოცანების წინაშე აყენებს საბჭოთა სკოლას. ახლა მთავარია სწავლების ხარისხის გადაჭრით ამაღლება, სკოლის მომზადება პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის. სასწავლო-საალმზრდელო ბაზის გაუმჯობესებასთან, საჭირო ინვენტარითა და ტექნიკური მოწყობილობით სკოლის აღჭურვასთან, სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდიკის და პრაქტიკის გადასინჯვასა და გაუმჯობესებასთან, პედაგოგთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად სკოლაში მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევა წარმოადგენს პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლის უმთავრეს პირობას.

საქართველოს სკოლებში საგრძნობი ნაბიჯი გადაიდგა წინ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საქმეში, თვალსაჩინოდ შემცირდა ორწლიანობისა და მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები, მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების სკოლებმა ერთგვარი წარმატება მოიპოვეს სწავლების ხარისხის დონის ამაღლებაში. მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევარი შედარებით უკეთესად დაამთავრეს ქალაქ ქუთაისის სკოლებმა, სადაც მოსწავლეთა აკადემიური წარმატება 90,4 პროცენტამდე ავიდა. წყალტუბოს რაიონის სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური წარმატებლობა 15,5 პროცენტს უდრის.

სამწუხაროდ, იძულებული ვართ ასეთი მაჩვენებელი შედარებით წარმატებად ჩავთვალოთ, თუმცა, როგორც ციფრები თავისთავად მეტყველებენ, ვერც ქალაქ ქუთაისისა და ვერც წყალტუბოს რაიონის სკოლები, განათლების ორგანოები ვერ დაიკვეხნიან ამ მხრივ მიღწევას. მაგრამ უფრო დამაფიქრებელი სურათია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მხრივ ახმეტის რაიონის სკოლებში, სადაც სუსტი ნიშანი აქვს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 32,8 პროცენტს, მარნეულის რაიონის სკოლებში — 28,1 პროცენტს, ხაშურის რაიონის სკოლებში 28,4 პროცენტს, თერჯოლის რაიონის სკოლებში — 25,1 პროცენტს, ჭიათურის რაიონის სკოლებში — 27 პროცენტს. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშია.

ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. სკოლებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა მათ წინაშე მდგომი სეროიოზული და პასუხსაგები ამოცანების შესაბამისად. სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის მოდუნების შედეგად მთელ რიგ სკოლებში დაეცა დისციპლინა, ნაკლებია მომთხოვნელობა მოსწავლეებისადმი. განა ყოველივე ამით არ აიხსნება ის, რომ ზნაურის საშუალო სკოლის 372 მოსწავლიდან პირველ მეოთხედში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ჰქონდა 177-ს, ხოლო წულუკიძის ვაჟთა საშუალო სკოლაში 622 მოსწავლიდან 238-ს?

სუსტია სახალხო განათლების ორგანოების კონტროლი სკოლებისადმი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ჯერ კიდევ არ მიუღია მკვეთრი, გადამჭრელი ზომები სამარცხვინო ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საქმეში.

სახალხო განათლების საქმე, სკოლების მუშაობის სათანადოდ დაყენება მარტო რაისაბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების დირექტორების საქმე როდია. ამ დარგში ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ მთელი რიგი რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანიზაციები. პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის. რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ბიუროებისა და პლენუმების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს სკოლის საკითხი, სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის საკითხი.

ყველა ღონისძიება უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ სამცვლიანი სწავლება, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზოგიერთ სკოლაში, სათანადო პირობებისა და შესაფერი ბაზის შექმნით ორცვლიან სწავლებად შეიცვალოს.

საჭიროა უფრო. მეტი მზრუნველობა და ამასთან მეტი მომთხოვნელობა მასწავლებლისადმი, რომელიც სკოლის მუშაობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. განათლების სამინისტრომ გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. პედაგოგიკის სამეცნიერო ინსტიტუტს მართებს მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების მკვეთრად გაუმჯობესება.

სკოლა ჩვენი კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი უბანია. ნორჩი თაობის აღზრდა დიდი სახალხო მნიშვნელობის ამოცანაა. საქართველოს სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლებმა პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელობის გაძლიერებით უნდა მიაღწიონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მკვეთრ გაუმჯობესებას, სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას და ჩვენი სკოლების საუკეთესოდ მომზადებას პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის.

შეჯიბრებაში გამარჯვებული ქვანახშირის მრეწველობის სანარმოები

პროფკავშირთა საკავშირო საბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ განიხილეს სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა 1952 წლის მეოთხე კვარტალის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი პრემიები მიეკუთვნა 14 საწარმომ. მათ შორის არიან კემეროვოს ქვანახშირის კომბინატი, ტყვარჩელისა და ანგერის ქვანახშირის ტრესტები, ტყვარჩელის შახტმშენებლობა, გორლოვკის ქვანახშირის ტრესტის „ნიკიტოვკის“ № 4-5 შახტები, სტალინსკის ქვანახშირის კომბინატის სტალინსკის ქვანახშირის ტრესტის № 5-ბის შახტი, მოსკოვის ქვანახშირის კომბინატის კრასნოარმეისკის ქვანახშირის ტრესტის № 36 შახტი, სვერდლოვსკის ქვანახშირის ტრესტის № 63 შახტის სამართველო და სვეტლსკის ქვანახშირის ტრესტის № 12-ბის შახტი, ურალის ვახრუშევის ქვანახშირის ტრესტის № 1 და № 2 ქვანახშირის ჭრილები (საკდესი).

საბჭოთა საქართველოში

ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში

სახელვამის მიერ გამოშვებული ახალი პლაკატი.

ჭიათურა. (საკ. კორ). ტოლსტოის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე დიდმა სტალინმა შექმნა არალეგალური ბოლშევიკური კომიტეტი და სტამბა, მოწყობილია ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

სახლ-მუზეუმი დიდ დახმარებას უწევს ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების მსმენელებსა და პროპაგანდისტებს. აგიტატორებს აქ მოჰყავთ დიასახლისი ამომრჩევლები, რომლებსაც ესაუბრებიან მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედის — მშობლიური სტალინის რევოლუციურ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ჭიათურის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

სახლ-მუზეუმის სანახავად მოდიან ექსკურსანტები შორეული მხარეებიდან.

დეპუტატობის კანდიდატის წარჩენება

სამტრედია. (საკ. კორ.). ლუნინელი მემანქანის ილია მელიტონის-ძე ჩიტიას სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივში, არამედ სამტრედიის რაიონის მშრომელებშიც. ამიტომ იყო, რომ იგი ერთსულოვნად დაასახელეს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

მემანქანე ი. ჩიტიამ მშრომელთა მაღალ ნდობას თავდადებული შრომით უპასუხა, იანვარი ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნა. 28 იანვრამდე 6 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით 2.300 კილოგრამი ტვირთი გადაზიდა, ამასთან 3,1 ტონა საწვავი დაზოგა.

ლუნინელმა მემანქანემ იკისრა გადიდებული ვალდებულება.

ზირიფონჯესის ელექტროშუქი ქარელელ კოლმეურნეებს

ქარელი. (საკ. კორ.). ტირიფონის ჰიდროელექტროსადგურიდან ამას წინათ სინათლე მიიღეს ქარელის რაიონის სოფელ რუისის მცხოვრებლებმა.

ელექტროკოსკების მშენებლობა და მთავარი ხაზის გაყვანა დაიწყეს სოფელ სასირეთში, ბრეთში, საღოლაშენში, ედილაანთ უბანში და ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში. ეს სოფლები ელექტროშუქს მიიღებენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32-ე წლისთავისათვის.

მიმდინარე წელს ელექტროშუქი გაყვანილ იქნება აგრეთვე სოფელ დირბში, ბებნისში, დვანში, ტახტისძირში, რუისის მტს-ში და ბებნისის საინერგის საბჭოთა მეურნეობაში.

თათბირი ღიგერაგუჩისა და ხელოვნების საკითხებზე

ქუთაისი. (საკ. კორ.) .ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტში შედგა ქუთაისის ოლქის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა თათბირი. მოხსენება საკითხზე — საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი და ქუთაისის ოლქის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ამოცანები — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. რ. წულუკიძემ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გ. სამხარაძემ (მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი), პ. ფრანგიშვილმა (ჭიათურის თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი), ა. გამსახურდიამ (ფოთის თეატრის მთავარი რეჟისორი), ს. ჭილაიამ (საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) და სხვ.

თათბირის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

სუხუმის წყალსამკურნალო

სუხუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში კაპიტალური რემონტის შემდეგ მუშაობა განაახლა სუხუმის წყალსამკურნალომ.

აქ მოწყობილია ზღვის წყალის თბილი აუზები, შხაპები და სხვა მრავალი საშუალება რევმატიზმის, ჰიპერტონიის და სხვა ავადმყოფობათა სამკურნალოდ.

შარშან წყალსამკურნალომ მომსახურება გაუწია 6.000 კაცს, ჩატარდა 72.111 პროცედურა.

რემონტის შემდეგ დაიდგა ახალი ტექნიკური აპარატები, წყალსაქაჩავი, მოემატა სამკურნალო აუზები, შხაპები და სხვ. ყოველდღიურად მომსახურება გაეწევა 350 კაცს.

* * *

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

30 იანვარს მოსკოვის მეცნიერთა სახლში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრება მიძღვნილია პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ საფუძველზე მეცნიერების განვითარების პერსპექტივების განხილვისადმი.

კრება გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ნ. ბარდინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა მეცნიერების განვითარებისათვის, ყველა სპეციალობის მეცნიერთათვის.

კრების საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა. მან დაახასიათა საბჭოთა მეცნიერების როლი და ადგილი იმ ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც საბჭოთა ხალხს დაუსახეს პარტიის XIX ყრილობამ, ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურმა ნაწარმოებმა.

მსოფლიო მეცნიერებაში პირველი ადგილის დაკავების ამოცანა, თქვა მომხსენებელმა, მოითხოვს გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყველა რგოლი, ფართოდ მოვამზადოთ მეცნიერთა კადრები, გადავწყვიტოთ უდიდესი თეორიული პრობლემები, ყოველი ღონისძიებით დავუახლოვოთ თეორია კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკას. მეცნიერებათა აკადემიამ დიდ სიმაღლეზე უნდა აიყვანოს თეორიული მეცნიერების ფუნდამენტალური პრობლემებიც დამუშავება, რომლებიც კვლევის ახალ გზებს აშუქებენ, ახალ ჰორიზონტებს უსახავენ პრაქტიკას. ასეთი დარგებია, მაგალითად: რადიოქიმია, გეოქიმია, ბიოფიზიკა, ფიზიკური ქიმია, რადიოასტრონომია და სხვები. ღრმა მათემატიკური გამოკვლევები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნიკის მთელი რიგი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის დროს.

მეხუთე ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის მეცნიერთა ხელისშეწყობა უნდა ხორციელდებოდეს სწარმოო ძალების რაციონალური განლაგების, სოციალისტური წარმოების უმაღლესი ტექნიკის შექმნის, მეტალურგიული ნედლეულის ახალი წყაროების შესწავლის და სხვა ხაზით.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მიჩურინული ბიოლოგიის, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ამოცანებს, მიკროორგანიზმების ბიოქიმიის პრობლემებს, პავლოვის ფიზიოლოგიის შემდგომი განვითარების საკითხებს, ფიზიოლოგიისა, რომელიც საშუალებას იძლევა შეექმნათ ადამიანის ორგანიზმის სწორი კვებისა და მკურნალობის ახალი საფუძვლები.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ეკონომიკის, ფილოსოფიის, ისტორიის მეცნიერებათა დარგის ამოცანებს, რომლებიც ი. ბ. სტალინის შრომიდან გამომდინარეობენ. მომხსენებელი განსაკუთრებით შეეხო იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

დიდი სახალხო-სამეურნეო და თეორიული პრობლემების დაყენება და გადაწყვეტა, — თქვა მან, — შეუძლებელია, თუ ძირეულად არ გავაუმჯობესეთ იდეოლოგიური მუშაობა მეცნიერთა შორის, სისტემატურად და განუწყვეტლივ არ ვისწავლეთ მარქსისტულ-ლენინური თეორია. ფილოსოფიურ უდარდელობას ზოგჯერ შეუძლია ყალბი გზით წარმართოს მკვლევარის მრავალი წლის ღონისძიებანი. საჭიროა დაუცხრომელი ბრძოლა თანამედროვე ბურჟუაზიული ცრუმეცნიერების წინააღმდეგ, რომელიც ომის გამჩაღებლებს ემსახურება. ჩვენმა მეცნიერებმა ცოდნის ყველა დარგში აქტიურად უნდა ამხილონ რეაქციული თეორიები, მიმდინარეობანი, შეხედულებანი, რა სამოსლითაც უნდა მოგვევლინონ ისინი.

ილაპარაკა რა იმის შესახებ, რომ საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ განვითარდეს კრიტიკის თავისუფლება და აზრთა ბრძოლა მეცნიერებაში, აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ყველა იმ მეცნიერს, რომელნიც წარსულში მცდარ პოზიციებზე იდგნენ, როდი უღიარებია ამ პოზიციების უმართებულობა, ან თუმცა ფორმალურად აღიარეს ეს უმართებულობა, მაგრამ არსებითად არ მოუხდენიათ შეცდომების ანალიზი და არ გაუკეთებიათ საჭირო დასკვნები.

— მე მინდა მოგაგონოთ, — თქვა დასასრულ აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა, — ის, რისკენაც ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებენ ჩვენი პარტია და მთავრობა, — ეს არის მოწოდება იმისაკენ, რომ ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ სიფხიზლე ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე, გადაჭრით ვებრძოლოთ დოყლაპაობას, რომლის შედეგადაც დიდი ხნის განმავლობაში გამოუაშკარავებელი იყო საზიზღარი ბანდა მომწამლველი ექიმებისა, რომლებმაც თავი მიჰყიდეს უცხოეთის დაზვერვას.

კომუნისტურმა პარტიამ დიდი ამოცანები დაუსახა მეცნიერებს. საბჭოთა მეცნიერებს თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ პირნათლად შეასრულონ ეს ამოცანები.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი. კამათში პირველნი გამოვიდნენ აკადემიკოსები ა. ი. ოპარინი, ე. ნ. პავლოვსკი, კ. მ. ბიკოვი, მ. მ. დუბინინი, ლ. ნ. ივანოვი, აკადემიის ყირიმის ფილიალის ხელმძღვანელი ი. დ. კოზინი. (საკდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

რუმინეთში სწავლობენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომას «სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში»

ბუქარესტი, 2 თებერვალი. (საკდესი). მოწინავე სტატიაში სათაურით „სტალინის გენიალური მოძღვრება სახელმძღვანელოა ახალი ცხოვრების აშენების საქმეში“ გაზეთი „სკანტეია“ წერს:

სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ღრმად და სისტემატურად შესწავლასა და პრაქტიკულად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუმინეთის მუშათა პარტიისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. სოციალისტური მშენებლობის საარსებო აუცილებლობის შესაბამისად რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლა მთელი პარტიული კადრების მიერ, პარტიული განათლების მთელ ქსელში. ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა აგრეთვე ამხანაგ ი. ბ. სტალინის ამ შრომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალების საფუძველზე იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების გეგმა.

საოლქო ცენტრების სახელმწიფო და პარტიული აქტივისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრებმა წაიკითხეს ლექციები ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის შესახებ. პარტიის საოლქო კომიტეტებთან მოწყობილია კონსულტაციები და სემინარები, მიმდინარეობს პროპაგანდისტების მომზადება ი. ბ. სტალინის შრომის შესახებ ლექციების წასაკითხავად. პარტიის ბუქარესტის საქალაქო კომიტეტის პარტიულ კაბინეტთან 3.500 კაცი დამოუკიდებლად სწავლობს ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაწარმოებს.

უმაღლესი პარტიული სკოლების, სამთვიანი და ექვსთვიანი სკოლების პროგრამებში, აღნიშნავს გაზეთი, შეტანილია ი. ბ. სტალინის შრომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დოკუმენტებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლი. ამ თემებზე იკითხება ლექციები უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში. პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამოუშვა 275 ათას ცალად. გამოქვეყნებულია აგრეთვე სერია ბროშურებისა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომის შემსწავლელთა დასახმარებლად.

ვ. ი. ლენინი პოლონელ მხატვართა ნაწარმოებებში

ვარშავა, 1 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის დეპეშათა საგენტო იტყობინება:

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადისა და ორგანიზატორის ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა სახალხო პოლონეთის საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეებს შთაგონებს შემოქმედებითს მუშაობაში. სრულიად პოლონეთის საბჭოთა ხელოვნების ყოველ გამოფენაზე შეხვდებით პოლონელ მხატვართა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა ახალ ნაწარმოებებს, მიძღვნილს საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი მასწავლებლისადმი.

ქანდაკების უხუცესმა ოსტატმა ჯ. დუნიკოვსკიმ შექმნა ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი. მ. ენუკის ქანდაკებამ „ლენინი“ სრულიად პოლონეთის საბჭოთა ხელოვნების მეორე გამოფენაზე პირველი პრემია მიიღო.

ცნობილია მხატვარ ვ. ფანგორის სურათი „ლენინი პორონინოში“, სპუნინის სურათი „ლენინთან“ და ლენინის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ მ. ბორუცინსკის მიერ.

სრულიად პოლონეთის საბჭოთა ხელოვნების გამოფენებზე ფართოდ იყო წარმოდგენილი აგრეთვე გრაფიკოსთა ნამუშევრები, მიძღვნილი ვ. ი. ლენინისადმი.

ბულგარეთის სახალხო მეურნეობის განვითარება 1952 წელს

სოფია. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა 1952 წელს შესრულდა 98,9 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 1952 წელს 1951 წლის სამრეწველო პროდუქციის მოცულობას დადაჭარბა 18 პროცენტით.

1952 წელს ბულგარეთის მრეწველობამ აითვისა 130-ზე მეტი სახეობის ახალი მანქანებისა და მექანიზმების წარმოება.

1952 წელს ახალი წარმატებებია მიღწეული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში.

ბულგარეთში გაძლიერებული ტემპით გაჩაღდა კაპიტალური მშენებლობა. 1952 წელს კაპიტალდაბანდებები 14 პროცენტით აღემატებოდა 1951 წლის კაპიტალდაბანდებებს. მწყობრში ჩადგა ბევრი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმო.

ცნობაში ნათქვამია, რომ ფულის რეფორმის განხორციელებას, კვების პროდუქტების ბარათების ლიკვიდაციასა და ერთიანი სახელმწიფო ფასების ორ თანმიმდევრულ შემცირებას შედეგად მოჰყვა ლეგის კურსის განმტკიცება, მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდება და ვაჭრობის შემდგომი გაშლა.

მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და ვაჭრობაში 1952 წელს გადიდდა 47.709 კაცით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ერთი წლის მანძილზე 11 პროცენტით გადიდდა.

ცნობაში აღნიშნულია დიდი მიღწევები ხალხის კულტურული დონის ამაღლების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საქმეში.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: „აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მდგომარეობისა და მათი მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შ. გეთია.

— აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები, — თქვა ამხ. გეთიამ, — საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამ ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით და მისი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შეიარაღებულნი, თავდადებით იბრძვიან ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ყოველივე ის, რითაც საბჭოთა საქართველო ამაყობს, მათ შორის ჩაის მეურნეობაც, დიდი სტალინის მამობრივი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგია, შედეგია იმისა, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში საქართველოს კომუნისტებს ხელმძღვანელობდა და ბელადის მითითებებს განუხრელად ახორციელებდა ამხანაგი ლ. პ. ბერია. სწორედ ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი საქართველოში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების, მათ შორის ჩაის ფართოდ განვითარებას. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ჩაის კულტურის განვითარებისა და მისი მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ ამოცანად დასახა საქართველოში იმდენი ჩაი იქნას მოყვანილი, რამდენიც საყვარელ დედა-სამშობლოს დასჭირდება.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულ და მაღალხარისხოვან განხორციელებაზე.

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული აფხაზეთში — საქართველოს ამ შესანიშნავ კუთხეში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის მიუხედავად, აფხაზეთის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შეძლო განეხორციელებინა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობა, მათ შორის ჩაის მეურნეობისაც. მიმდინარე წლის 1 იანვრის ცნობით, აფხაზეთში ჩაის კულტურებს უკავიათ 12.453 ჰექტარი ფართობი ნაცვლად 7.428 ჰექტარისა, რაც 1943 წლის 1 იანვრისათვის იყო.

ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების შედეგად ამაღლდა მათი მოსავლიანობა. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 1952 წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 4.331 კილოგრამი ჩაის მშვანე ფოთოლი, სოფელ ქვემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 3.012 კილოგრამი და სხვ.

გასულ წელს, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატებმა მაინც შეძლეს მიეღწიათ სარეკორდო მაჩვენებლებისათვის. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც ა. ვეკუა ხელმძღვანელობს, 52 ჰექტარი ჩაის ფართობის თვითეულ ჰექტარზე შეძლო საშუალოდ მოეყვანა 5.559 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მე-10 ბრიგადამ (ბრიგადირი ნ. შამათავა) 18 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.200 კილოგრამი ჩაი. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეებმა. ცნობილმა მეჩაიე ქალებმა მარიამ არძინბამ, ნათელა ბულისკერიამ და ლაისო ბულისკერიამ მათთვის მიჩენილ ჩაის ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16.000, 15.819 და 14.580 კილოგრამი ჩაის მშვანე ფოთოლი მიიღეს.

მაგრამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებანიც. ბევრი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ ჩაის დაბალ მოსავალს იღებს. ამის შედეგია ის, რომ 1952 წელს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გუდაუთის რაიონის გარდა აფხაზეთის არც ერთ რაიონს არ შეუსრულებია. მთლიანად აფხაზეთში ჩაის ფოთლის კრეფა შესრულდა 91,4 პროცენტით. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ გალისა და ოჩამჩირის რაიონები.

ამხ. გეთიამ მკაცრად გააკრიტიკა აფხაზეთის ასსრ ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს (მინისტრი ამხ. გ. ბერულავა) და ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სუხუმის ფილიალის (დირექტორი ამხ. ი. ლომია) სუსტი მუშაობა. ამ ინსტიტუტის მუშაკები ნაკლებ დახმარებას უწევენ კოლმეურნეებს ჩაის კულტურის მოვლის საქმეში.

მოხსენების დასასრულ ამხ. გეთია შეჩერდა მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საკითხებზე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ქვარცხავა. მან განაცხადა, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 3.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც წლის დასაწყისიდანვე ენერგიულად იბრძვიან. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პლანტაციების გაღიბარვა, სასუქების შეტანა და სხვ. ამასთან მან მკაცრად გააკრიტიკა „საქჩაის“ ტრესტის მმართველი ამხ. სარჯველაძე, რომელიც საკმაო დახმარებას არ უწევს ჩაის ფაბრიკების მუშაობას.

თვითკრიტიკული იყო პარტიის გალის რაიკომის მდივნის ამხ. ე. გეთიას გამოსვლა. შარშან გეგმის შეუსრულებლობა, — თქვა მან, — ძირითადად გამოწვეული იყო პლანტაციების ცუდი დამუშავებით. წელს ჩაის მოვლას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ჩამორჩენა იმდენად დიდი არ იქნებოდა, აღნიშნა ამხ. გეთიამ, — აფხაზეთის ასსრ ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს მუშაკებს საჭირო დახმარება რომ გაეწიათ კოლმეურნეობებისათვის. სამინისტროს სპეციალისტებმა ვერ გაითვალისწინეს 1952 წლის განსაკუთრებული კლიმატური პირობებით შექმნილი თავისებურება და სწორი რჩევა ვერ მისცეს კოლმეურნეობებს. არადროული კრეფის გამო სეზონის დასაწყისშივე ბევრი ჩაის ფოთოლი დაიკარგა.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სუხუმის ფილიალის დირექტორის ამხ. ი. ლომიას გამოსვლიდან ცხადი გახდა, რომ მას სათანადო დასკვნები არ გაუკეთებია მისი მუშაობის სამართლიანი კრიტიკიდან.

პლენუმის მონაწილენი სრულიად ვერ დააკმაყოფილა მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. შ. დოჩიას და ოჩამჩირის პირველი მტს-ის დირექტორის მოადგილის პოლიტნაწილში ამხ. მ. ვეკუას გამოსვლებმა. მათ ბევრი ილაპარაკეს სამეურნეო მაჩვენებლებზე, მაგრამ არაფერი უთქვამთ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა: ვ. ჯიქიამ (პარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანი), გ. ბერულავამ (აფხაზეთის ასსრ ტექნიკურ კულტურათა მინისტრი), გ. არძინბამ (გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე).

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ზ. კეცხოველმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ნ. ჯაჯუა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ვ. ადამია.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

1927 წლის 1 ოქტომბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ირანის მთავრობამ დადეს შეთანხმება კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროს თევზის სარეწების ექსპლოატაციის შესახებ. ამ შეთანხმების შესაბამისად მაშინვე დაარსდა საბჭოთა კავშირ-ირანის შერეული კომპანია „ირანთევზი“. კომპანია „ირანთევზის“ საქმიანობის ვადა აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული იყო 25 წლით. შეთანხმება ითვალისწინებდა აგრეთვე ირანის მთავრობისა და საბჭოთა მთავრობის თანასწორ წილს კომპანიის კაპიტალში და თანასწორ უფლებებს ამ კომპანიის საქმეთა მართვაში. ამრიგად, 1927 წლის 1 ოქტომბრის შეთანხმება დადებული იყო მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობისა და ირანის სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ირანელი ხალხის ეროვნული ინტერესების პატივისცემის საფუძველზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1953 წლის 31 იანვარს საქმიანობის ვადა გაუდიოდა კომპანია „ირანთევზს“, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება კომპანიის საქმიანობის შემდეგი ვადით განგრძობის შესახებ.

29 იანვარს ირანის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მოსადიკმა სსრ კავშირის საელჩოს ირანში აცნობა, რომ ირანის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო შეწყდეს კომპანიის საქმიანობა შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო.

ამასთან ერთად ირანის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სავსებით დაიცავს საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის შეთანხმების მე-4 მუხლთან დაკავშირებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. ეს მუხლი ითვალისწინებს, რომ ირანის მთავრობა, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია „ირანთევზის“ საქმიანობა არ განახლდა, ვალდებულებას კისრულობს თევზის სარეწები შემდეგი 25 წლის განმავლობაში კონცესიით არ მისცეს მესამე სახელმწიფოებს და მათს ქვეშევრდომებს. იგი ვალდებულებას კისრულობს მათი ექსპლოატაცია აწარმოოს მხოლოდ და მხოლოდ ირანის მთავრობის სათანადო ორგანოების მეშვეობით და თავის მხრივ ამ სარეწების საექსპლოატაციოდ არ მოიწვიოს სხვა სპეციალისტები, გარდა ირანის ქვეშევრდომებისა.

კომპანია „ირანთევზის“ საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ირანის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელჩმა ირანში ამხ. სადჩიკოვმა, საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით, 2 თებერვალს ირანის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ მოსადიკს შემდეგი მინაარსის წერილი გადასცა:

„ბატონო პრემიერ-მინისტრო,

თქვენს ცნობასთან დაკავშირებით, რომ ირანის მთავრობამ ამა წლის 31 იანვარს საბჭოთა კავშირ-ირანის შერეული კომპანიის „ირანთევზის“ საქმიანობის ვადის გასვლის გამო, მიიღო გადაწყვეტილება არ განაახლოს ამ კომპანიის საქმიანობა, დავალებული მაქვს შემდეგი განგიცხადოთ:

შემოჰქონდა რა თავისი წინადადება შემდეგი ვადით „ირანთევზის“ საქმიანობის განგრძობის შესახებ, საბჭოთა მთავრობა ეყრდნობოდა იმას, რომ „ირანთევზის“ საქმიანობა სასარგებლოა ორივე მხარისათვის, ხელს უწყობს ირანისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას და მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას. როგორც კომპანია „ირანთევზის“ უშუალო მონაწილეებს, ირანის მთავრობასა და საბჭოთა კავშირის მთავრობას აქვთ თანაბარი წილი ამ კომპანიის კაპიტალში და თანასწორი უფლებანი მისი საქმეების მართვაში.

ირანის მთავრობამ კომპანია „ირანთევზის“ საქმიანობით მნიშვნელოვანი მატერიალური სარგებლობა მიიღო. მან მიიღო კომპანია „ირანთევზის“ მთელი შემოსავლის 64 პროცენტი მოგების სახით, აგრეთვე თევზის სარეწების საიჯარო ქირისა და იმ გადასახადთა სახით, რასაც კომპანია ირანის მთავრობას უხდიდა. კომპანია „ირანთევზი“ მთელი თავისი არსებობის მანძილზე კეთილსასურველ გავლენას ახდენდა ეკონომიკური ცხოვრების განვითარებაზე ირანის ჩრდილოეთ სანაპირო რაიონებში და უზრუნველყოფდა ამ რაიონების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის არსებობის სახსრებს.

ირანის მთავრობამ, მიიღო რა გადაწყვეტილება არ განაახლოს კომპანია „ირანთევზის“ საქმიანობა, მისი საქმიანობის ვადის გასვლის გამო, გამოიყენა თავისი კანონიერი უფლება, რაც გათვალისწინებულია მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობისა და ირანის სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ირანელი ხალხის ეროვნული ინტერესების პატივისცემის საფუძველზე „ირანთევზის“ შესახებ 1927 წელს დადებული შეთანხმებით.

საბჭოთა მთავრობა ცნობად იღებს ირანის მთავრობის ცნობას კომპანია „ირანთევზის“ ლიკვიდაციისა და ირანის მთავრობის მიერ „ირანთევზის“ ეროვნულ საკუთრებად გადაცემის შესახებ.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ირანისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ირანის მთავრობის მიერ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომელთაც ზემოაღნიშნული შეთანხმების მე-4 მუხლი შეიცავს. როგორც ცნობილია, ამ მუხლით გათვალისწინებულია, რომ „სპარსეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის კონცესია არ განახლდა, ეს სარეწები კონცესიით არ მისცეს შემდეგი 25 წლის მანძილზე მესამე სახელმწიფოებს და მათს ქვეშევრდომებს. იგი ვალდებულებას კისრულობს მათი ექსპლოატაცია აწარმოოს მხოლოდ და მხოლოდ სპარსეთის მთავრობის სათანადო ორგანოების მეშვეობით და თავის მხრივ ამ სარეწების საექსპლოატაციოდ არ მოიწვიოს სხვა სპეციალისტები, გარდა სპარსეთის ქვეშევრდომებისა“.

საბჭოთა მთავრობა აგრეთვე ცნობად იღებს თქვენს განცხადებას, რომ ირანის მთავრობა სავსებით დაიცავს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის შეთანხმების მე-4 მუხლთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირ-ირანის შერეული კომპანიის „ირანთევზის“ საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ირანის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მხედველობაში აქვს რა კომპანია „ირანთევზის“ ლიკვიდაციისა და ორივე მხარეს შორის მისი ქონების თანასწორად გაყოფის ღონისძიებათა განხორციელება, როგორც ეს გათვალისწინებულია კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროს თევზის სარეწების ექსპლოატაციის შესახებ სსრ კავშირსა და ირან შორის საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის 1 ოქტომბრის შეთანხმების მე-4 მუხლით, საჭიროა ახლავე შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია საბჭოთა კავშირისა და ირანის წარმომადგენლებისაგან. საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის ელჩს ირანში მისცა სათანადო მითითებანი ამ საკითხზე. საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ირანის მთავრობა თავის მხრივ არ დააყოვნებს და თავის წარმომადგენლებს დანიშნავს ხსენებულ სალიკვიდაციო კომისიაში.

გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მიიღოთ ჩემი უაღრესად დიდი პატივისცემა.

ი. სადჩიკოვი“.

მოძმე რესპუბლიკების მსახიობთა კონცერტები

ბაკო, 2 თებერვალი. (საკადესი). გუშინ აზერბაიჯანის ფილარმონიაში მოეწყო მოლდავეთის სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის პირველი კონცერტი. სტალინის რაიონის მენავთობეები თავიანთ კულტურის სასახლეში დაესწრნენ სომხეთის სსრ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტს.

მოძმე რესპუბლიკების შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები დიდი წარმატებით სარგებლობს ქალაქის მშრომელთა შორის. უკანასკნელ ხანს ბაქოელები გაეცნენ ურალისა და ვორონეჟის რუსული ხალხური გუნდების ხელოვნებას. აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ფილარმონიისა და მენავთობეთა კულტურის სასახლეებში გამოვიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისისა და სხვა ქალაქების მსახიობები.

კადრების თეორიული განათლების მძლავრი იდეური წყარო

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომები. „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საპროგრამო დოკუმენტი, თეორიულ საფუძვლად დაედო ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა ამ ყრილობაზე და მისი გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ახალი ეტაპია მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში. ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები კიდევ უფრო ამაღლებენ ჩვენი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის, მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ღონეს. ისინი დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტგანათლების მთელ სისტემაში მომუშავე ყოველ კომუნისტს, პროპაგანდისტს, კონსულტანტს, ლექტორს და აგიტატორს. ვერც ერთი პოლიტსკოლა, პარტიის ისტორიის შემსწავლელი, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი ვერც ერთი წრე ვერ აღმოჩნდება თავისი მოწოდების სიმაღლეზე, თუ მისი პროპაგანდისტი ღრმად არ განიმსჭვალა საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების ცოდნით, ჯეროვნად არ დაეუფლა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად მეცნიერებას.

პროპაგანდისტს ჩვენი პარტია უდიდესი მნიშვნელობის საქმეს ანდობს. იმისათვის, რომ ღირსეულად გაამართლოს ეს ნდობა, იგი სისტემატურად უნდა იმაღლებდეს თავის იდეურ-თეორიულ დონეს, იფართოებდეს გონებრივ ჰორიზონტს სხვადასხვა დარგის მეცნიერული ცოდნით, სრულყოფდეს თავის პედაგოგიურ-მეთოდურ ოსტატობას.

ამხანაგ სტალინის გენიალური შრომები ამ მხრივ უძვირფასეს თეორიულ საუნჯეს, უშრეტ იდეურ წყაროს წარმოადგენს.

* * *

თვითეული პროპაგანდისტი, რომელსაც მინდობილი აქვს უდიდესი საქმე — შეასწავლოს მასებს ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი, ჩვენი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი — მთელი მონდომებით უნდა მუშაობდეს ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად. პროპაგანდისტებს სისტემატიური დახმარება ესაჭიროებათ.

ამ წერილის მიზანია, პროპაგანდისტის დასახმარებლად, საილუსტრაციოდ დაიყენოს მხოლოდ ზოგიერთი საკითხი ამხანაგ სტალინის ნაშრომის შესწავლასთან დაკავშირებით. აღიღოთ, მაგალითად საკითხი საზოგადოების განვითარების კანონთა ობიექტური ხასიათის შესახებ.

თავის ახალ ნაშრომში ამხანაგი სტალინი ამხილებს ზოგიერთი ეკონომისტის შეცდომას, რომელიც უარყოფს მეცნიერების კანონების ობიექტურ ხასიათს სოციალიზმის დროს, ამხილებს იმ არასწორ შეხედულებას, რომ თითქოს საბჭოთა სახელმწიფოს თავისი განსაკუთრებული როლის შედეგად შეეძლოს არსებული ეკონომიკური კანონების გაუქმება ან მოსპობა და ახალი კანონების „ჩამოყალიბება“, „შექმნა“. ამხანაგი სტალინი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ასეთი შეხედულება არსებითად მოასწავებს მარქსიზმისაგან ჩამოშორებას და სუბიექტური იდეალიზმის პოზიციაზე დადგომას.

ჩვენ გვახსოვს პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს მითითება იმის შესახებ, რომ რევოლუციური მარქსიზმის გამარჯვება ნაროდნიკობაზე, ანარქიზმზე და სხვა იდეალისტურ მიმდინარეობებზე რუსეთში მოხდა იმის მეოხებით, რომ მარქსიზმი და მარქსისტებმა პრაქტიკული მოღვაწეობა ემყარებოდა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, ობიექტური კანონების შესწავლას და გამოყენებას და არა „გამოჩენილ პიროვნებათა“ სურვილებს, რასაც ნაროდნიკები ქადაგებდნენ.

ბუნებისა და საზოგადოების კანონების ობიექტურ ხასიათს უარყოფს ამერიკა-ინგლისის რეაქციული ფილოსოფია. ეს შემთხვევითი როდია. ხვალინდელი დღის რწმენას მოკლებული, შიშით შეპყრობილი იმპერიალიზმის პირსისხლიანი დამცველები ძალასა და ღონეს არ ზოგავენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესაჩერებლად.

პროპაგანდისტს ევალება უჩვენოს მსმენელებს იდეალიზმის ნაირსახეობათა რეაქციული ბუნება, ამხილოს თანამედროვე აგრესიული იმპერიალიზმის იდეოლოგიური ლაქიების რეაქციული კონცეფციები.

სტალინური დებულებები პროპაგანდისტს საშუალებას აძლევს აუხსნას მსმენელებს „სტიქიურობის“, „თვითდინების“ ანტიმარქსისტული მავნე თეორიების არსი, რომლებიც ცდილობენ „დაამტკიცონ“, რომ ობიექტურად არსებული სოციალიზმის ეკონომიკური კანონები თითქოს არაფრით არ განსხვავდებიან სტიქიურად მომქმედ კაპიტალიზმის ეკონომიკური კანონებისაგან. სასწავლო გეგმის კვალდაკვალ პროპაგანდისტმა უნდა განუმარტოს მსმენელებს „ეკონომისტების“, მენშევიკების, ტროცკისტ-ბუხარინელების და ყველა ჯურის ოპორტუნისტების გამცემლური მოქმედების არსი. ყოველმხრივ უნდა ვამხილოთ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები — იმპერიალიზმის ეს მოსყიდული მეაბჯრეები, რომლებიც უგულებელყოფენ ობიექტური კანონების შეცნობისა და გამოყენების შესაძლებლობას, მიდიან განვითარების ობიექტური კანონების ფეტიშიზაციამდე, ფატალიზმამდე.

* * *

ლენინ — სტალინის პარტიის ისტორიის შესასწავლად ერთერთ ძირითად საკითხს პარტიის პროგრამის საკითხები წარმოადგენს. პროპაგანდისტი ვალდებულია ჯეროვნად გაიაზროს და ღრმად მიითვისოს მსმენელებამდე პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილების დედაარსი, ის, რომ პარტიის პროგრამის გადამმუშავებელ კომისიას დაევალა იხელმძღვანელოს ამხანაგ სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ძირითადი დებულებებით. ამ ისტორიული აქტით საქვეყნოდ არის აღიარებული ამხანაგ სტალინის ახალი შრომის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, აღიარებულია ის ჭეშმარიტება, რომ სტალინური მოძღვრება სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების ძირითადი პირობებისა და გზების შესახებ წარმოადგენს შრომის, ბრძოლისა და გამარჯვების უტყუარ კომპასს ჩვენი პარტიისა და ხალხისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

პარტიის პროგრამა, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის საბოლოო მიზანს, იმ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც იბრძვის პარტია საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. ამიტომ მისი პროგრამა, მისი ამოცანები და მოთხოვნები თვითეული ისტორიული შემობრუნების შესატყვისად ფართოვდებიან, იზრდებიან, იცვლებიან.

ჩვენი პარტიის პროგრამას საფუძვლად მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება უდევს. თავდაპირველად ახალი ტიპის პარტიის შექმნას და მისი პროგრამის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ლენინური „ისკრის“ მიერ დამუშავებული იდეოლოგიური და ორგანიზაციული დებულებები, რომლებიც ბრწყინვალედ განსაზღვრა ლენინმა თავის ეპოქალურ შრომაში „რა ვაკეთოთ?“.

პარტიის VIII ყრილობაზე მიღებულ ახალ პროგრამას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის გენიალური ნაწარმოები „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ. თავის ახალ ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მან ყოველმხრივ დაამუშავა ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი აქტუალური პრობლემები. „... პარტიის გეგმები მომაელისათვის, — ამბობდა ამხანაგი მალენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე, — რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი წინსვლის პერსპექტივებსა და გზებს, ემყარება ეკონომიკური კანონების ცოდნას, ემყარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერებას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა“.

პროპაგანდისტმა ამომწურავად უნდა განუმარტოს მსმენელებს ამხანაგ სტალინის მიერ აღმოჩენილი და გენიალურად დამუშავებული სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნებისა და მოთხოვნების არსი — ერთი მხრივ და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები — მეორე მხრივ. წრის მსმენელებს მთელი სისრულით უნდა ეუჩვენოთ სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით.

ამხანაგ სტალინის დებულებას სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ძირითად წინასწარ პირობათა შესახებ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა პროპაგანდისტმა გაესაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ამხანაგმა სტალინმა სრულიად ახლებურად ახსნა საკითხი ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობის მოსპობის შესახებ და ახლებურად დააყენა მათ შორის არსებით განსხვავებათა დაძლევის საკითხი. მსმენელებს უნდა ავუხსნათ იმ ანტიმარქსისტულ შეხედულებათა მავნე ბუნება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის ლენინურმა დებულებამ თითქოს ძალა დაკარგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მსმენელებს უნდა განემარტოს, რომ მსგავსი კონცეპცია არსებითად ანტილენინურია, „ულტრაიმპერიალიზმისა“ და „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ ჰილფერდინგ-კაუცკიანურ და ტროცკისტულ-ბუხარინული კონტრრევოლუციური თეორიების გადამღერებას წარმოადგენს. პროპაგანდისტმა თავის მსმენელებს ღრმად უნდა განუმარტოს ლენინურ-სტალინური დებულება იმის შესახებ, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკურ კანონს კაპიტალისტური სისტემა მიჰყავს ყველა მის წინაღმდეგობათა შემდგომი გამწვავებისაკენ და, სანამ იმპერიალიზმი მაინც განაგრძობს არსებობას და ძალაში რჩება, ...„ძალაში რჩება აგრეთვე ომების გარდუვალობაც.

ომების გარდუვალობა რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მოვსპოთ იმპერიალიზმი.“ (ი. სტალინი).

* * *

თვითეული პროპაგანდისტი და აგიტატორი მოწოდებულია კომუნიზმის იდეების პროპაგანდისა და აგიტაციის ხელოვნებას სწავლობდეს გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინისაგან. ამხანაგ სტალინის ახალი კლასიკური ნაშრომის საფუძველზე, რომელიც რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის განუყოფელ ერთიანობის ნიმუშს წარმოადგენს, პროპაგანდისტებმა საფუძვლიანად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, კიდევ უფრო გაამახვილონ პედაგოგიურ-მეთოდიური ოსტატობა. ამ მიმართულებითაც გზას გვიჩვენებს ამხანაგ სტალინის ნაშრომი. მოვიგონოთ, თუ რას წერს ბელადი იმ „ვაი-თეორეტიკოსების“ მისამართით, რომლებიც „ქედმაღლურად უცქერიან „ცნობილ ჭეშმარიტებათა“ განმეორების მიზანშეწონილებას. ამხანაგი სტალინი მიუთითებს იმ ახალგაზრდა კაღრებზე, რომლებსაც სულით და გულით სურთ იმუშაონ გულმოდგინედ, თავი გამოჩინონ მუშაობაში, მაგრამ „არ გააჩნიათ საკმაო მარქსისტული აღზრდა“. „ვფიქრობ, — წერს ამხანაგი სტალინი, — რომ ეგრეთწოდებულ „საყოველთაოდ ცნობილ“ ჭეშმარიტებათა სისტემატური განმეორება, მათი მოთმინებით განმარტება ამ ამხანაგების მარქსისტული აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა“.

დიდი სტალინის ამ ბრძნულ მითითებას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს თვითეული პროპაგანდისტისათვის, რომელსაც პარტიამ მიანდო ჩვენი ადამიანების, პარტიული და არაპარტიული კომუნისტების აღზრდა მარქსისტულ-ლენინიზმის დიადი იდეების სულისკვეთებით. ამ ამოცანას ჩვენი პროპაგანდისტები წარმატებით გადაწყვეტენ იმ პირობით, თუ დაუცხრომლად ამაღლებენ კვალიფიკაციას, ღრმად დაეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მეცნიერებას, რომელსაც შემოქმედებითად ავითარებს, ამდიდრებს წინ სწევს ჩვენი ბრძენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

პროფესორი ე. ბურჭულაძე.

ხალხის რჩეულნი

მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატი

ქართული ავტომობილის 40 სხვადასხვა ნაწილის ჩამოსხმა ხდება იმ საამქროში, სადაც დეპუტატობის კანდიდატი ნათელა ცაგარეიშვილი მუშაობს. ახალგაზრდა სპეციალისტი ელექტრომოწყობილობის მარეგულირებელია და, შეიძლება ითქვას, მთელ სამსხმელო საამქროში ტოლი არა ჰყავს.

საკმაოა რამდენიმე წუთით ნახოთ ნათელა თავის სამუშაო უბანზე, რომ დარწმუნდეთ მის ენერგიულობასა, გამჭრიახობასა და სიმკვირცხლეში.

გიზგიზებს ჩამომსხმელი საამქროს ელექტროლუმელი. უნდა ჩამოისხას ფოლადი. ამწეს ჯაჭვით უჭირავს ვეებერთელა კასრი. გაივსება თუ არა გამდნარი ლითონით ეს კასრი, ღუმელის კარიც იკეტება, რამდენიმე ხნის შემდეგ ლითონი ცხდება. აქა-იქ რჩება წიდა, რომელსაც ნათელა სწრაფად აშორებს სპეციალური ხელსაწყოთი. ჩამოსხმული ფოლადი გადასამუშავებლად მიაქვთ სხვა საამქროებში, სადაც მზადდება ავტომანქანის მრავალი დეტალი, ნათელა სწორად აწესრიგებს ელექტროენერგიას და, გარდა ამისა, მდნობელის მოვალეობასაც ასრულებს.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნათელა ცაგარეიშვილის მიერ ჩამოსხმულ ფოლადს რაიმე წუნი აღმოჩენოდეს. ლითონის სიმკვრივეს და საერთოდ მის ხარისხს ქარხნის ლაბორატორიაში არკვევენ. ლითონთან ერთად მოწმდება მისი მდნობელი ღუმელებიც და ამ ღუმელთა მმართველი ადამიანებიც. და ნათელა ცაგარეიშვილი ამ შემოწმებას ყოველთვის შესანიშნავად აბარებს. ახალგაზრდა სპეციალისტს მოწესრიგებული აქვს ტექნოლოგიური პროცესი, ყოველთვის წინასწარ ამოწმებს ღუმელს, თუ რა მდგომარეობაშია იგი. ამიტომ არის, რომ იგი შეუფერხებლად მუშაობს, ნაცვლად 2,5 საათისა, 1 საათსა და 40 წუთში ასრულებს დნობის თვითეულ პროცესს და სისტემატურად მაღალხარისხოვან ლითონს იძლევა.

მეხუთე წელია ნათელა ავტოქარხანაში მუშაობს. იგი აქ წულუკიძის რაიონის სოფელ გუბიდან მოვიდა. დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, მაშინვე მიაშურა ავტოგიგანტს, სადაც მუშაობა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. როცა ადამიანს საქმის სიყვარული და მტკიცე მიზანდასახულობა ამოძრავებს, იგი ცხოვრებაშიც სწრაფად იკაფავს გზას. გოგონა ისე ღრმად დაეუფლა მდნობელის პროფესიას, რომ მისი შრომა სხვებისათვის მისაბაძი გახდა. დები ტ. და მ. გურგენიძეები, ლ. ერაძე და ლ. შვედკოვა ნათელას დახმარებით დაეუფლნენ სპეციალობას და ახლა მოწინავე მდნობელები არიან.

ნ. ცაგარეიშვილი იმ უპარტიო აქტივისტთა რიგებს ეკუთვნის, რომლებიც სისტემატურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან, ეხმარებიან პარტიულ კომიტეტს მასების დარაზმვაში საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად. ნათელა საამქროს ენერგეტიკოსთა ჯგუფის პროფორგანიზატორია. ამ მოვალეობას იგი საუკეთესოდ ასრულებს.

მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი ნათელა პეტრეს ასული ცაგარეიშვილი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა დაასახელეს ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ეჭვი არ არის, იგი გაამართლებს ამ მაღალ ნდობას.

გ. მეფისაშვილი.

ნარჩინებული ჯრაქჯორისჯი

ცხაკაია. (საკ. კორ.). მტს-ის მექანიზატორთა შორის ბეჯითი შრომით თავი ისახელა ტრაქტორისტმა ვალიკო ხუნწარიამ, რომელიც ამას წინათ ერთსულოვნად იქნა დასახელებული ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე მან მაღალხარისხოვნად შეაკეთა „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, რომელსაც თვითონ მართავს, და გეგმით გათვალისწინებული 5,5 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად ხნავს 6-7 ჰექტარს. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით ვ. ხუნწარიამ ვალდებულება იკისრა 22 თებერვლისათვის 200 ჰექტარი მოხნას. მოწინავე მექანიზატორი წარმატებით ანაღდებს თავის ვალდებულებას — უკვე მოხნა 100 ჰექტარზე მეტი, მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა საწვავ-საცხები მასალები.

დეპუტატობის კანდიდატი თავისი ტრაქტორით ენერგიულად მუშაობს ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და თავდადებით იბრძვის 1953 წლის უხვი მოსავლისათვის საფუძვლის ჩასაყრელად.

საუბრები მშობლიურ ქალაქზე

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტში ოთხმოცამდე აგიტატორი მოუთხრობს მეშახტეებს საარჩევნო კანონზე, საბჭოთა მოქალაქეების უფლება-მოვალეობაზე, კულტურისა და მეცნიერების მიღწევებზე. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს საუბრები იმ ცვლილებათა შესახებ, რაც მოხდა მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში წარსული არჩევნებიდან დღემდე. ორი წლის მანძილზე ტყიბულში აშენდა მრავალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლის შენობა, საბავშვო ბაგა, საყოფაცხოვრებო კომბინატი, ახალი აბანო და სხვ., რაზეც 40 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

აგიტატორმა კ. გოგელაშვილმა ამას წინათ მორიგი საუბრის დროს ამომრჩევლებს უამბო დიმიტროვის ქუჩაზე მუშათა ახალი სახლების მშენებლობის შესახებ. ეს ადგილი წინათ მთლიანად ტყით დაფარული იყო. ამ უკანასკნელ წლებში აქ აშენდა სახლები, რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა საექსპლოატაციოდ, გაყვანილ იქნა ფართო გზა.

„რადიანსკე მისტეცტვო“ საბჭოთა საქართველოს ხელოვნების შესახებ

უკრაინის სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროსა და ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „რადიანსკე მისტეცტვომ“ („საბჭოთა ხელოვნება“) 1953 წლის 28 იანვრის თითქმის მთელი ნომერი მიუძღვნა ქართული საბჭოთა ხელოვნების საკითხებს.

გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ა. მგელაძის სტატია „ქართველი ხალხის ხელოვნება აღმავლობის გზაზე“. მეხამე გვერდს აქვს საერთო სათაური „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება“. რუბრიკის ქვეშ „ჩვენი მეგობრების სიტყვა“ გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ბალანჩივაძის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის, სტალინური პრემიის ლაურეატის ო. თაქთაქიშვილის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ა. თაყაიშვილის, სოციალისტური შრომის გმირის მ. ორაგველიძისა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ერქომაიშვილის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის დ. ანდღულაძის, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორის გ. მიხელიძის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტების, სტალინური პრემიის ლაურეატების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის წერილები. ამავე გვერდზე მოთავსებულია საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. დ. რომელაშვილის წერილი „ბელადის სამშობლოში“, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ნ. ვაჩნაძის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ვახაძის, სტალინური პრემიის ლაურეატების გ. ლეონიძის, ვ. თოფურიძის და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. აბაკელიას წერილები. აქვე გამოქვეყნებული ფოტოსურათები მეტყველებენ ქართული საბჭოთა ხელოვნების მიღწევებზე. გვერდი ლამაზადაა გაფორმებული ქართული ორნამენტებით.

სურათზე: გაზ. „რადიანსკე მისტეცტვოს“ მე-3 გვერდის ფოტორეპროდუქცია.

ი. ნონეშვილის შემოქმედების საღამო მოსკოვში

იანვრის ბოლოს მოსკოვში, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის კლუბში, გაიმართა პოეტ იოსებ ნონეშვილის შემოქმედების საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის თავმჯდომარის მოადგილემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა პოეტმა მ. ლუკონინმა.

ი. ნონეშვილის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული კომისიის თავმჯდომარემ მწერალმა ვ. გოლცევმა. პოეტის შემოქმედების შესახებ ილაპარაკეს მწერლებმა მ. მაქსიმოვმა, ბ. ეფენტმა და გ. ლომიძემ.

ი. ნონეშვილის ლექსების რუსული თარგმანები წაიკითხეს პოეტებმა მ. ლუკონინმა, ი. მეჟეროვმა და ნ. ჩუკოვსკიმ.

დასასრულ ი. ნონეშვილმა წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი. („კომუნისტის“ კორ.).

„კომუნიზმისაკენ მიმავალი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძლიერების სიმბოლო“

პარალა, 2 თებერვალი. (საკდესი). დღეს მოწინავე სტატიაში, რომელიც მიძღვნილია სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების 10 წლისთავისადმი, გაზეთი „რუდე პრავო“ წერს:

10 წლის წინათ, 1943 წლის 2 თებერვალს, დამთავრდა უდიდესი ბრძოლა მსოფლიო ისტორიაში, სტალინგრადისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში, რომელსაც გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაზე, საბჭოთა არმიის საბრძოლო დროშები უჭკნობი დიდებით შეიმოსა.

სტალინგრადთან საბჭოთა მეომრები, ხოლო მათთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხი ყველა ხალხის თავისუფლებას იცავდნენ. იქ საბჭოთა ადამიანებმა, რომელთაც ამხანაგ სტალინის მხედართმთავრული გენია უძღოდა, გმირულ ბრძოლებში გადაარჩინეს ევროპა და მთელი მსოფლიო ჰიტლერული ფაშიზმის ბარბაროსობისაგან.

10 წელმა განვლო სტალინგრადთან ბრძოლიდან, განაგრძობს გაზეთი. გმირი ქალაქი, რომელიც გიგანტური ბრძოლის მსვლელობაში მოისპო, ნანგრევებიდან აღდგა. სტალინგრადი გახდა კომუნიზმისაკენ მიმავალი საბჭოთა ხალხის, შემოქმედებითი ძლიერების სიმბოლო. საბჭოთა ხალხის ღონისძიებებით იქმნება უფრო ლამაზი ქალაქი ვიდრე წინათ, უმაგალითო სილამაზის ქალაქი, კომუნიზმის ეპოქის ახალი ქალაქი. კალაჩთან, იმ ადგილებში, სადაც ფაშისტთა ჯარების გარემოცვა დამთავრდა, ახლა ვოლგა-დონის სანაოსნო არხი იწყება.

საბჭოთა კავშირი ათ წელიწადში, რამაც სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ განვლო, მშვიდობის უფრო ძლიერი ბურჯი გახდა. მთელი მსოფლიოს ასობით მილიონი მშრომელი სიყვარულით წარმოთქვამს გმირი ქალაქის სტალინგრადის სახელს, რადგან ვოლგაზე მდებარე ეს გმირი ქალაქი ფაშიზმის ბარბაროსობაზე გამარჯვების სიმბოლო გახდა. მაგრამ ამ ქვეყნად არიან ადამიანები, რომელთაც შიშის ზარი ეუფლებათ სტალინგრადის სახელის ხსენებაზე. ესენი არიან ისინი, ვინც ჰიტლერის იდეები მემკვიდრეობად მიიღო, ამერიკელი იმპერიალისტები. როგორც ჰიტლერი, ისინიც აცხადებენ ანტისაბჭოთა ჯვაროსნულ ლაშქრობას და ცდილობენ განახორციელონ მსოფლიო ბატონობის თავიანთი გეგმები.

ბელგიის პროგრესული პრესა აღნიშნავს სტალინგრადის ბრძოლის 10 წლისთავს

ბრიუსელი, 2 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „დრაპო რუჟის“ დღევანდელი მოწინავე მიძღვნილია სტალინგრადთან საბჭოთა არმიის ისტორიული გამარჯვების მეათე წლისთავისადმი.

სტალინგრადის ბრძოლის მნიშვნელობა, ნათქვამია სტატიაში, კარგად ცნობილია.

სტალინგრადმა მთელ მსოფლიოს უჩვენა საბჭოთა წყობილების უპირატესობა, საბჭოთა მოქალაქეების უმაღალითო პატრიოტიზმი, სტალინური სტრატეგიის სიდიადე.

სტალინგრადი გახდა სიმბოლო საბჭოთა არმიისა, რომელმაც მტერი გაანადგურა.

ომით დანგრეული სტალინგრადი აღდგენილია.

საბჭოთა ხალხს სურს მშვიდობა და გიგანტურ მშენებლობას ეწევა.

ჩვენს ხალხსაც სურს მშვიდობა. იგი ვერ დაივიწყებს სტალინგრადთან საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებას, და იგი მას არ დაივიწყებს!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური კომისიის ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა კომიტეტში

ბანდუნგი, 31 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური კომისიის ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა კომიტეტმა გუშინ დაამთავრა ორი საკითხის განხილვა: სამრეწველო მოწყობილობის, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიწოდება და სამდივნოს მოხსენება ვაჭრობისათვის ხელშეწყობის დარგში მოღვაწეობის შესახებ. ამ საკითხების განხილვის მსვლელობამ ცხადყო, რომ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მათ. ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში სურვილი გამოთქვეს სამრეწველო მოწყობილობა ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის მიიღონ თავიანთ ქვეყნებში, მაგრამ, როგორც გამოსულნი აღნიშნავდნენ, მათს ქვეყნებს არ შეუძლიათ ეს, რადგან სამრეწველო მოწყობილობის ფასები მაღალია მათი საექსპორტო ნედლეულის დაბალ ფასებთან შედარებით.

კოლონიური სახელმწიფოები — ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, სპეკულაციას ეწევიან რა იმით, რომ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს უჭირთ ძვირადღირებული მოწყობილობის ყიდვა, აცხადებენ, რომ მზად არიან ყოველგვარი რაოდენობით მიაწოდონ კაპიტალური მოწყობილობა, თუ ამას აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები მოისურვებენ.

სამრეწველო მოწყობილობის, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიწოდების საკითხზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა წარმომადგენელმა ამხ. ნემჩინამ. მან ცხადყო, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე კოლონიური სახელმწიფოები ხელს უშლიდნენ ეროვნული მრეწველობის განვითარებას აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, რათა ისინი შეენარჩუნებინათ ნედლეულის წყაროებად და თავიანთი საქონლის გასაღების ბაზრებად. კოლონიური სახელმწიფოები და მათი მონოპოლიები ეწევიან აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნული რესურსების ექსპლოატაციას და მათს საგარეო ვაჭრობას იყენებენ თავისი გამდიდრებისათვის ამ ქვეყნების ხალხთა საარსებო ინტერესების საზიანოდ.

ამხ. ნემჩინამ კონკრეტული მაგალითებით ცხადყო აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის გაუარესება 1951-1952 წლებში, ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ზრდა და ვალუტის მარაგის შემცირება.

საბჭოთა წარმომადგენელმა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური კომისიის ყურადღება მიაქცია იმას, რომ იგი არ ეხმაურება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგაჭრო ბლოკადას ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების მხრივ, მაშინ როცა კომისია უნდა იცავდეს და განამტკიცებდის ეკონომიკურ ურთიერთობას აზიის, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის.

შემდეგ ამხ. ნემჩინამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი არ აწვდიან აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს საჭირო სამანქანო მოწყობილობას ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის და ამცირებენ მანქანების ექსპორტს ამ ქვეყნებში. 1952 წლის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან კაპიტალური მოწყობილობის გატანა პრაქტიკულად დარჩა 1951 წლის დაბალ დონეზე.

დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა:

ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა კოლონიური სახელმწიფოები, ამცირებენ რა კაპიტალური მოწყობილობის მიწოდებას აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, ცდილობენ შეინარჩუნონ ისინი როგორც გასაღების ბაზრები. სსრ კავშირს მიაჩნია, რომ ეკონომიკური ურთიერთობა და ვაჭრობა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან უნდა დაწესდეს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ამ ქვეყნების ეროვნული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ვაჭრობის წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა მათი საგაჭრო ურთიერთობის გაფართოება ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებთან თანასწორობის და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპის, აგრეთვე ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე. საბჭოთა კავშირი მზად არის განაგრძოროს სავაჭრო ურთიერთობა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მზად არის მიაწოდოს მათ მოწყობილობა, სხვადასხვა მანქანა და სხვა საქონელი, რომლებიც ამ ქვეყნებს სჭირდებათ მათი მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, იმ საქონლის სანაცვლოდ, რომლის ექსპორტსაც ისინი ეწევიან, და ამით ხელი შეუწყოს ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას.

შემდეგ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩვეულებრივი ცილისწამებით გამოვიდა გომინდანელი. მაგრამ დელეგატებმა არ მოისურვეს გომინდანელის მოსმენა და პაკისტანის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ თავმჯდომარეს წესრიგისაკენ მოეწოდებინა მისთვის.

ინდონეზიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს კომიტეტის მუშაობის მიმდინარეობას, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გამოსვლებს. გაზეთმა „პიკირან რაკიატმა“ დიდი სათაურით გამოაქვეყნა საბჭოთა წარმომადგენლის გამოსვლა.

გაზეთი „ჰარიან რაკიატი“ მოწინავეში წერს: „საბჭოთა წარმომადგენლის განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ინდონეზიელი ხალხისათვის, რადგან იგი შეესაბამება მის მოთხოვნებს. ინდონეზიელმა ხალხმა თავის თავზე გამოსცადა ყოველივე ის, რასაც საბჭოთა წარმომადგენელი ამბობდა... ინდონეზიელმა ხალხმა იგრძნო, რა ძნელია ჯანსაღი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, სანამ მისი ბუნებრივი რესურსები ექვემდებარება უცხოეთის კაპიტალს და მონოპოლიზებულია მის მიერ“.

თეატრი

ღირსშესანიშნავი სპექტაკლი

რუსთაველის სახელობის თეატრმა თავის მეორე პრემიერად მიმდინარე სეზონში მაყურებელს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის პ. მალიარევსკის ისტორიულ-რევოლუციური პიესა „ქარიშხლის წინ“. პიესა მოგვითხრობს რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაზე რუსეთში. იგი მიძღვნილია ლენის ამბებისადმი.

როგორც ცნობილია, ლენის სარეწების მუშათა გაფიცვის დროს, 1912 წლის 14 აპრილს, 500-ზე მეტი მუშა იქნა მოკლული და დაჭრილი. მეფის თვითმპყრობელობის ამ საზიზღარმა ბოროტმოქმედებამ ფეხზე დააყენა მთელი რუსეთის პროლეტარიატი. სამრეწველო ცენტრებში დაიწყო გაფიცვები, დემონსტრაციები, მასობრივი გამოსვლები.

ლენის ოქროს სარეწთა მუშების დახვრეტამ შესძრა მთელი პროგრესიული რუსეთი, მოძრაობაში მოიყვანა რევოლუციური ძალები, დარაზმა ისინი. ლენის დღეები გრიგალივით შეიჭრნენ „დამშვიდების“ იმ ატმოსფეროში, რომელიც სტოლიპინის რეჟიმმა შექმნა („საკავშირო კ. ბ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“).

ამხანაგი სტალინი პეტერბურგის ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდაში“ 19 აპრილს წერდა:

„ლენაზე თოფის გასროლამ დაამსხვრია მდუმარების ყინული, და — დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე.

დაიძრა!...

ყველაფერმა, რაც კი ბოროტი და დამღუპველი იყო თანამედროვე რეჟიმში, ყველაფერმა, რაც აწუხებდა მრავალტანჯულ რუსეთს — ყველაფერმა ამან თავი მოიყარა ერთ ფაქტში, ლენის ამბებში.

აი რატომ იყო, რომ სწორედ ლენაზე თოფის გასროლა გახდა გაფიცვებისა და დემონსტრაციების სიგნალი“.

პიესა „ქარიშხლის წინ“ მაყურებელთა წინაშე აცოცხლებს მუშათა კლასის ბრძოლის შესანიშნავ სურათებს, მის გმირულ შემართებას, გვამცნობს, თუ ბრძოლის რა ძლიერი ნებისყოფით, მტკიცე რევოლუციური ენერგიითა და დისციპლინით იყო იგი აღჭურვილი. წინააღმდეგ მენშევიკ-ლიკვიდატორების და ტროცკისტების მტაცებლისა რევოლუციის „ქრობის შესახებ“, პროლეტარიატი მზად იყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

პიესას ღრმა ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. იგი აცნობს ჩვენს მაყურებელს, მეტადრე ახალ თაობას, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და ბრძოლა მუშათა კლასს თავისი ადამიანური უფლებების დასაცავად და რა დიდ დამრაზმველ როლს ასრულებდა ამ ბრძოლაში ბოლშევიკური პარტია.

პიესა დადგმულია ახალგაზრდა რეჟისორის მ. თუმანიშვილის მიერ.

სპექტაკლს მაყურებელი დაძაბული და შეუნელებელი ყურადღებით ისმენს. ეს იმის შედეგია, რომ რეჟისორს სპექტაკლი გააზრებული აქვს როგორც ბრძოლის ამსახველი ეპიკური ტილო, როგორც მუშათა კლასის შინაგანი დრამატიზმით აღსავსე გმირული თავდადება, დიდი რევოლუციური ენერგიით გამოწვეული აღმავლობა, რომელიც მხოლოდ გამარჯვებით შეიძლება დასრულდეს.

სპექტაკლში სჭარბობს მუქი ფერები, მძიმე სცენები, რომელთაც განაპირობებს იმდროინდელი სინამდვილე და რომელთა ფონზეც უფრო მკაფიოდ ისახება როგორც ბრძოლის სიძნელე და სირთულე, ისე მისი წარმატებით დასრულების აუცილებლობა. მთელ სპექტაკლში ერთიანი სწორი და ღრმა აზრია გატარებული: მუშათა კლასის რევოლუციურ აღმავლობას იმ სასტიკ წლებში ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია. ბრძოლა ქარცეცხლში პროლეტარიატს მხოლოდ ეს პარტია ედგა სათავეში, მხოლოდ ის უსახავდა ბრძოლის სწორ სტრატეგიასა და ტაქტიკას.

სპექტაკლში ჩაბმული არიან თეატრის კოლექტივის საუკეთესო ძალები, რომლებიც შეწყობილად ასრულებენ თავიანთ როლებს. უნდა აღინიშნოს ერთი საგრძნობი უხერხულობა, რასაც პიესის ავტორი ზოგიერთ შემსრულებელს უქმნის: პიესაში 26 მოქმედი პირია. გასაგებია, დრამატურგი ვერ მოახერხებდა ყველა სახის მკაფიოდ გამოკვეთას, ინდივიდუალიზებას, ყველა ხასიათის მხატვრულად გაშლას. ამიტომ ზოგ შემსრულებელს ბევრი არაფერი აქვს გასაკეთებელი და მათ მიერ განსახიერებული სახეებიც მკრთალია. ასეთები არიან თუნდაც გუროვი (შ. გიგაური), ოსიპი (დ. გაგუა), პრიგოროვი (ვ. კინწურაშვილი) და სხვები.

სპექტაკლის ცენტრში დგას და მისი იდეის გამტარებელია ბოლშევიკი ფეოდოროვი, რომელიც გაფიცვას ხელმძღვანელობს, ჭირსა და ლხინში მუშებთან არის, მათი ინტერესებით ცხოვრობს და სუნთქავს. პუტილოველი მუშა ფეოდოროვი დაჯილდოებულია ხელმძღვანელის ღირსშესანიშნავი თვისებებით: ხასიათის სიმტკიცით, თავმდაბლობით, სწორი ორიენტაციის გრძნობით. ფეოდოროვის როლს ჩინებულად ასრულებს მსახიობი გ. კიკნაძე. იგი გვისახავს ადამიანს, რომელიც აღჭურვილია ნათელი გულით, მაღალი მორალური თვისებებით. მსახიობი ქმნის სახეს, რომელიც ღრმად იჭრება მაყურებლის მეხსიერებაში და მის სიმპათიებს იმსახურებს.

მუშებისა და მათი ხელმძღვანელის ფეოდოროვის დაპირისპირებულ ძალას სპექტაკლში წარმოადგენს ოქროს საწარეწთა მთავარი მმართველი და მდიდარი აქციონერი დემჩინოვი, რომლის სახესაც მოსაწონი მხატვრული დამაჯერებლობით ხატავს ე. მანჯგალაძე. მსახიობი წარმოგვისახავს უსირცხვილო ექსპლოატატორის, ზნეობრივად გახრწნილი ადამიანის ბუნებას. მანჯგალაძის მიერ შექმნილი დემჩინოვის სახე მსახიობის შემოქმედებითი წარმატებაა.

მტკიცე ნებისყოფის მქონე, შეურიგებელი მებრძოლის, მომავლისადმი რწმენით დაჯილდოებული მუშის დაუვიწყარ სახეს ქმნის ვ. დოლიძე. მისი ტრიფონ ჩერნიხი შემკულია ხასიათის სიმტკიცით, მდიდარი სულიერი წყობით. მის სუსტ, დაავადებულ ორგანიზმში ნათელი და ურყევი სული ღვივის. ამიტომ არის, რომ ცნობას მისი ბრძოლის ველზე დაცემის შესახებ მაყურებელი გულისტკივილით იღებს.

ტრიუკინის დამთავრებულ, მხატვრულად გამართულ სახეს ქმნის დ. ხუციშვილი. მოკრძალებით და ამავე დროს შინაგანი გმირობით, თავდადებით არის შემკული ა. თოიძის მიერ შექმნილი სახე მასწავლებელი ქალისა, რომელსაც ახასიათებს სიმართლის გრძნობა. კარგად გააზრებულია დანარჩენ მსახიობთა მიერ შექმნილი სახეებიც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მედეა ჩახავა, რომლის სასცენო ოსტატობა შეუნელებლად ვითარდება. სულ პატარა დეტალის მონახვით, ხასიათში თითქოს უმნიშვნელო შტრიხის ხაზგასმით იგი შესანიშნავ სახეს ქმნის. ასეთია ამ შემთხვევაშიც მის მიერ განსახიერებული დაშა — დემჩინოვის მოახლე.

სადად და საკმაოდ გემოვნებით არის გაფორმებული სპექტაკლი მხატვარ ვ. ლაპიაშვილის მიერ.

თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა სპექტაკლის შექმნისას საქმის სიყვარული გამოიჩინა და კარგ მხატვრულ შედეგსაც მიაღწია.

შ. აფხაიძე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 2 თებერვლის ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილებანი არ მომხდარა. სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დაზიანეს 2 თვითმფრინავი.

კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავის წინ

ფხენიანი, 2 თებერვალი. (საკდესი). კორეის ხელოვნების მოღვაწენი მთელ ხალხთან ერთად ემზადებიან იმისათვის, რომ ზეიმით აღნიშნონ კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავი, რაც 8 თებერვალს სრულდება. ფხენიანის სახელმწიფო საქალაქო დრამატული თეატრის კოლექტივი დღესასწაულის დღეებში უჩვენებს ხან სანის დრამას „მოჩანს ზღვა“ კორეის სანაპიროს სახელოვან დამცველთა შესახებ. სახალხო არმიის დრამატულმა თეატრმა დასადგმელად მოამზადა პიესა „მაღლობა 1.211“ სახალხო არმიის 5 შენაერთის მეომართა გმირული საქმეების შესახებ, რომლებმაც გააფთრებულ ბრძოლებში 1.211 მაღლობთან გაანადგურეს ამერიკელთა 25-ე დივიზიის ნაწილები.

ფრონტზე სახალხო არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სტუმრად ეწვევა მსახიობთა რამდენიმე საფრონტო ბრიგადა.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოება

ფხენიანი, 2 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა კულტურისადმი. კორეელ ხალხში მოწონავე საბჭოთა კულტურის პროპაგანდის საქმეში დიდი როლი ეკუთვნის სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოებას. გუშინ სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების ცენტრალურ გამგეობაში შეჯამდეს საზოგადოების გასული წლის მუშაობის შედეგები.

გასულ წელს საზოგადოების რიგებში შევიდა თითქმის 55 ათასი ახალი წევრი. რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში შექმნილია საზოგადოების 650-ზე მეტი ახალი უჯრედი. სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების ყველა სამაზრო და პროვინციულ კომიტეტში მუშაობდნენ ლექტორთა ჯგუფები. სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ გასულ წელს საბჭოთა კავშირზე და მშვიდობიან მშენებლობაში მის მიღწევებზე გამოუშვა საერთო ტირაჟით 50 ათასი ცალი სხვადასხვა ლექციო. სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების ლექტორთა მიერ წაკითხული ლექციები შარშან მოისმინა 8.300 ათასმა კაცმა. სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა მიერ მოწყობილ გამოფენებზე ექსპონირებული იყო 7 ათასზე მეტი ფოტოსურათი, 15 ათასი ილუსტრაცია და 15 ათასზე მეტი პლაკატი. ჩრდილოეთ კორეის სასოფლო რაიონებში მოქმედ მოძრავ ფოტოგამოფენათა რიცხვი გასულ წელს 1951 წელთან შედარებით ერთისამად გადიდდა. მოძრავი კინობრიგადები ქალაქებსა და სოფლებში აჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს. გასულ წელს სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების უჯრედებმა მოაწყეს საბჭოთა სიმღერისა და ცეკვის 220-ზე მეტი სხვადასხვა წრე. ამ წრეებმა ჩრდილოეთ კორეის ქალაქებსა და სოფლებში გამართეს 8.600 კონცერტი.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოება დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობას, რომელიც რუსულ ენას სწავლობს. ჩრდილოეთ კორეის ყველა პროვინციაში ფუშაობს რუსული ენის ათასობით წრე და 158 მუდმივი კურსები. ამ კურსებზე 1952 წელს მეცადინეობდა ათჯერ მეტი კაცი, ვიდრე 1951 წელს.

წყალდიდობა ჯოლანდიაში, ბელგიასა და ინგლისში

ბერლინი, 2 თებერვალი. (საკდესი). დპა-ს საგენტო ბრიუსელიდან გადმოგვცემს:

ბელგიაში ქარიშხლით და წყალდიდობით ყველაზე უფრო დაზარალდა 60 კილომეტრი სიგრძის რაიონი, რომელიც ოსტენდესა და ჰოლანდიის საზღვარს შუა მდებარეობს. კაშხალები და სანაპიროები დანგრეულია, ასობით სახლი წყალმა დაფარა, ქუჩები წალეკილია. ზარალი უდიდესია. ანტვერპენის ნავსადგურის რაიონში შელდამ ნაპირები გადმოლახა და წყალი ქალაქის შიდა ნაწილს მოედო. დაზარალებულია ბევრი ბენზინ-ნავთსაცავი და შეიქმნა ხანძრის საფრთხე.

ბელგიის შიდა რაიონებში მეჰელსა და დენდერმონდში გარღვეულია შელდისა და დეილეს კაშხალები. ორივე ქალაქის დაბლობის ქუჩები დაფარულია წყალით.

აღმოსავლეთ ბელგიაში ძლიერი ქარბუქი იყო, რის შედეგადაც პარალიზებულია სარკინიგზო და საქალაქო მოძრაობა.

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება:

ჯერ კიდევ არასოდეს ამ უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ინგლისში არ მომხდარა ისეთი წყალდიდობა, რომელსაც ასეთი ტრაგიკული უბედურების ხასიათი მიეღოს. ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე არ არის არც ერთი ისეთი დასახლებული პუნქტი, რომელიც წყალდიდობით არ დაზარალებულიყოს, ხოლო ბევრი დასახლებული პუნქტი სავსებით წალეკილია.

ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, ინგლისში წყალდიდობის შედეგად დაიღუბა 350 კაცი. რამდენიმე ასეული კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ქარიშხლის შედეგად, რომელიც განუწყვეტლივ გრძელდება, როტერდამი წარმოადგენს ნამდვილი ნგრევის სურათს. თვით როტერდამის ნავსადგური ფაქტიურად დახურულია და მახლობლად მდებარე ნავთსაწყობები ქარხნების ძლიერი დანგრევის გამო გავსებულია ზეთისა და ნავთის სქელი ფენით. ცენტრალური ელექტროსადგური წალეკილია.

ომის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის!

ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროს კომუნიკე

ბრიუსელი, 2 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „დრაპო რუჟში“ გამოქვეყნდა ბელგიის კომუნისტური პარტიის კომუნიკე, რომელშიც მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათება და განსაზღვრულია კომუნისტური პარტიის ამოცანები ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და ბელგიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ომის მომზადების პოლიტიკური შედეგები, ნათქვამია კომუნიკეში, განსაკუთრებით საგრძნობია სოციალურ-ეკონომიკურ დარგში. დღითიდღე უარესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები. მიმდინარეობს ფართო შეტევა სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე.

მეორე მხრივ ხშირდება რვა საათის სამუშაო დღის დარღვევა, შრომის უსაშიშრობის პირობების გაუარესება, მეტალურგიულ მრეწველობასა და შახტებში საშიში პროპორციით დიდდება უბედურ შემთხვევათა რიცხვი; ქვანახშირის შახტებში ამასწინათ მომხდარმა კატასტროფებმა მთელი მოსახლეობის მღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვია.

ძლიერდება უმუშევრობა. ამჟამად 380 ათასამდე უმუშევარია.

„მშრომელი მასების ცხოვრების პირობების ამ გაუარესებას, — განაგრძობს კომუნიკე, — მძიმედ განიცდის ყველა მშრომელი. ცხოვრების პირობების თვითეული ახალი ხელყოფა საწარმოებში იწვევს სხვადასხვა მოქმედებას, რომლის დროსაც მშრომელები, ერთმანეთს უკავშირებენ რა ყველა პრობლემას, სულ უფრო ხშირად აყენებენ კითხვას სოციალური რეგრესის ღრმა მიზეზების შესახებ. ამავე დროს მტკიცდება მისწრაფება ომისადმი, რომ გაერთიანდნენ მოქმედებისათვის, რაც ბოლოს მოუღებს ამ მდგომარეობას, რომელიც თანდათან უარესდება. დღითიდღე სულ უფრო იჩენს თავს მასების ბრძოლისუნარიანობა და მათი სიმტკიცე ბრძოლაში.

ამ პირობებში პოლიტბიურო მოაგონებს ყველა კომუნისტს, რომ მათ ყველგან უნდა აწარმოონ ბრძოლა პირველ რიგებში და ყოველთვის, როცა კი მათ ეს შეუძლიათ, თვითონ იკისრონ ინიციატივა და ნათლად დასახონ ბრძოლის მიზნები, ამასთან მუდამ ეცადონ ამ ბრძოლაში ჩააბან ყველა მშრომელი და განსაკუთრებით სოციალისტ მუშათა მასები, რის მიღწევაც შეუძლებელია, თუ ენერგიულად არ ვამხილეთ მანევრები, რომლებსაც მიმართავენ ბურჟუაზიის აგენტები მუშათა კლასში“.

კომუნიკე შეიცავს მოწოდებებს, რომ გაიღადეს ბრძოლა პარლამენტის ახალი არჩევნების მოწყობისა და პარლამენტის ახლანდელი შემადგენლობის დათხოვნისათვის, სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებისათვის, ბრძოლა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დასაცავად და სხვ.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ახალი სტრუქტურა

პრაღა, 2 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება, 31 იანვარს პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის საგანგებო სხდომა ანტონინ ზაპოტოცკის თავმჯდომარეობით. მთავრობამ თავის სხდომაზე მიიღო რამდენიმე დადგენილება, რომელთა თანახმად კონსტიტუციური კანონის შესაბამისად და რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობით ხორციელდება მთავრობის ახალი სტრუქტურა.

მთავრობის ახალი სტრუქტურა იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნება მთავრობის პრეზიდიუმი, რომელშიც შევლენ პრემიერ-მინისტრი და მისი მოადგილეები. მთავრობის სხდომებს შორის პერიოდში პრეზიდიუმი განახორციელებს მიმდინარე მუშაობას და ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს მთავრობის ცალკეული წევრების მუშაობისადმი.

მთავრობის ახალ სტრუქტურასთან დაკავშირებით ზოგიერთი ცვლილება მოხდა მთავრობის შემადგენლობაში. რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდა დანიშნა პრემიერ-მინისტრის ახალი მოადგილეები: ეროვნული უშიშროების მინისტრი არმიის გენერალი კარელ ბაცილეკი, ეროვნულ თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ალექსი ჩეპიჩკა, მინისტრი ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი ზდენეკ ნეიედლი, ეროვნული კრების დეპუტატი ანტონინ ნოვოტნი, ეროვნული კრების დეპუტატი ინდრიხ უგერი.

პრემიერ-მინისტრის მოადგილეებად რჩებიან აგრეთვე: ვილემ შიროკი, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტმა გაათავისუფლა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისაგან, იაროსლავ დოლანსკი, ზდენეკ ფირლინგერი, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტმა ეკლესიის საქმეთა სახელმწიფო მმართველობის კანონის შეცვლასთან დაკავშირებით გაათავისუფლა ამ სამმართველოს ხელმძღვანელობისაგან.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა აგრეთვე დანიშნა მინისტრები.

მთავრობის ახალ სტრუქტურასთან დაკავშირებით მთავრობამ ზოგიერთი ცვლილება მოახდინა რწმუნებულთა სლოვაკიის კორპუსში. რწმუნებულთა კორპუსის ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა იუსტიციის საქმეთა ყოფილი რწმუნებული რუდოლფ სტრეიხალი.

2 თებერვალს მთავრობის ახალდანიშნულმა წევრებმა ფიცი მისცეს რესპუბლიკის პრეზიდენტს კლემენტ გოტვალდს.

ბონის შეთქმულების წინააღმდეგ!

ადენაუერის ანტიერროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ

ბერლინი, 3 თებერვალი. (საკდესი). დუისბურგში გაიმართა რურის ოლქის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც ჩაიარა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნით, რომ ბონის მთავრობას განზრახული აქვს დაამტკიცოს სამხედრო ხელშეკრულებანი, აღორძინოს ფაშიზმი და ემზადოს ომისათვის.

მიტინგს დაესწრო სხვადასხვა პარტიაში შემავალი ათასობით მუშა-კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები, კათოლიკეები, უპარტიოები. შეკრებილთა წინაშე გამოსულმა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ქრისტიანთა დემოკრატიული კავშირის ორგანიზაციის ყოფილმა მდივანმა კეტერერმა მიტინგის მონაწილეებს მოუწოდა მთელი სიმტკიცით იბრძოლონ სეპარატული „საერთო ხელშეკრულებისა“ და ეგრეთწოდებულ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაზე“ საზიდრო შეთანხმების წინააღმდეგ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ბუნდესტაგის დეპუტატმა გერმანიის კომპარტიისაგან ოსკარ მიულერმა. მან მოუწოდა ბონის პარლამენტის დეპუტატებს შეიგნონ თავიანთი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და უარყონ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი.

აღნიშნა რა ის ფაქტი, რომ ადენაუერის მთავრობა დაკავშირებულია დანაშაულებრივ ფაშისტურ ორგანიზაციებთან და მფარველობას უწევს მათ, მიიღერმა განაცხადა:

— ბონელმა ბატონებმა კვლავ მოუწოდეს ბნელეთისა და რღვევის ფაშისტურ ძალებს, რათა გამოიყენონ ისინი სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ გერმანელი ხალხის პროტესტის ჩასახშობად... ადენაუერი და მისი ხელქვეითნი ნებაყოფლობით არ წავლენ, ისინი დამხობილ უნდა იქნან, რათა განთავისუფლდეს გზა იმ მთავრობისათვის, რომელიც გამოვა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად და შეეცდება მიაღწიოს გერმანიის გაერთიანებას.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვამენ თავიანთ გადაწყვეტილებას იბრძოლონ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის.

„ბლანკის სამსახურის“ სახელწოდებით შენიღბულია ბონის „მთავრობის“ ფაქტიური სამხედრო სამინისტრო. — შეტევა აღმოსავლეთით, ყვითელ ზღვამდე! — აი რაზე ოცნებობენ იქ მოკალათებული რევანშისტები, ჰიტლერის ნაბოლარები.

(გაზეთებიდან)



ნახატი გ. ლომაძისა.

„საკვირველება“ გამოჩნდა ახლა:
კვეხნით, მუქარით, ცეცხლის მოდებით, —
ეს ფაშისტური ჭინჭრაჭა გახლავთ —
ტეოდორ ბლანკის სახელწოდებით!

ჰიტლერის გეგმებს იქით აბიჯებს,
ჰიტლერის ბოდვით „მიემართება“,
აწ რაღა უჭირს ბონის საგიჟეთს, —
კვლავ ერთი გიჟი მიემატება!

ს. ფაშალიშვილი.

განხეთქილება იტალიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

რომი, 2 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, ქალაქ ვიჩენცაში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ ხელმძღვანელებისა და რვეითი წევრების კრება, რომლებიც პარტიიდან გავიდნენ იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ფენა მიემხრო საარჩევნო სისტემის „რეფორმის“ მთავრობის ანტიდემოკრატიულ პროექტს.

კრებაზე გადაწყდა შეიქმნას ახალი ეროვნული მოძრაობა — „სოციალისტური ავტონომია“.

ამ დაჯგუფებას მიემხრნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთელი რიგი ყოფილი ხელმძღვანელნი.

პარლამენტში გააკრიტიკეს იოსიდას მთავრობის პოლიტიკა

შანხაი, 3 თებერვალი. (საკდესი). ოპოზიციური პარტიების დეპუტატები გამოდიან იაპონიის პარლამენტის სესიაზე და აკრიტიკებენ იაპონიის კაბინეტის მინისტრების საპროგრამო სიტყვებს.

დეპუტატმა ეგრეთწოდებული პროგრესული პარტიისაგან კენძო მაცუმურამ პარლამენტის ქვედა პალატაში გამოსვლისას განაცხადა, რომ იოსიდას საპროგრამო სიტყვამ „სრული იმედგაცრუების გრძნობა გამოიწვია“... მაცუმურამ ილაპარაკა იოსიდას საშინაო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ იოსიდას სიტყვაში გამოსჭვივის პოლიციური რეჟიმის აღორძინების განზრახვა.

მემარცხენე სოციალისტმა ხირო ვადამ პარლამენტის ზედა პალატაში გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაც უფრო ძლიერდება სიძნელეები დასავლეთ ევროპაში ამერიკის პოლიტიკის განხორციელების საქმეში, მით უფრო გაძლიერდება იაპონიაზე ზეგავლენის პოლიტიკა და „ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო თავხედურ მოთხოვნებს წამოაყენებენ“. ვადამ მოითხოვა ბოლო მოეღოს ომს კორეაში. მან დაგმო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ოკაზაკის გამოხდომა იაპონიის ნეიტრალიტეტის მომხრეთა წინააღმდეგ. „ეს, — თქვა მან, — ნიშნავს, რომ ოკაზაკი ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველ საგარეო პოლიტიკას“.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 2 თებერვალი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ტრადიციული წერილით მიმართა კონგრესს „შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ“, წერილი მიეძღვნა იმ საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად საკითხებს, რომლის განხორციელებასაც აპირებს ამერიკის შეერთებული შტატებიხ ახალი მთავრობა. კერძოდ, პრეზიდენტი თავის წერილში ეხება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოლიტიკის, კორეაში ომის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან „თანამშრომლობის“ საკითხებს, ეკონომიკისა და ვაჭრობის პრობლემებს და სხვ.

იტალიის საქალაქო ჯრანსპორტის მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა

რომი, 2 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, ყველა ქალაქ ვიჩენცაში, ბოლონიასა, ფერარასა, ტორინოსა, ბოლონიასა, ალესანდრიასა, ალბასა, ალბენგასა, ალბიზოლასა, ალბენგასა, ალბენგასა, ალბენგ